ტექნიკურ დავალება

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქართულიდან უცხოურ ენაზე და პირიქით თარგმნა შემდეგ მოთხოვნათა/გარემოებათა გათვალისწინებით:

- სათარგმნი მასალის თემატიკა: იურიდიული, ფინანსური, ეკონომიკური და ტექნიკური;
- შემსყიდველს მიმწოდებელმა ნათარგმნი დოკუმენტაცია უნდა წარმოუდგინოს, როგორც ელექტრონული ვერსიის სახით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნაბეჭდის სახით, 1 (ერთი) ეგზემპლარად;
- მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებისათვის საჭირო პროცესში თარჯიმნის მონაწილეობა, მათ შორის თარჯიმნის ნოტარიუსთან ვიზიტი და ა.შ. სანოტარო მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს შემსყიდველი.
- მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 1 (ერთი) სამუშაო დღეში არანაკლებ 10 გვერდის თარგმნის მომსახურება. სათარგმნ მასალას შემსყიდველი მიმწოდებელს მიაწვდის ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- 1 (ერთი) გვერდად ჩაითვლება ნათარგმნი ტექსტის 1800 სიმბოლო სიტყვებს შორის დაშორების- ე.წ. „space”-ების ჩათვლით);
- თარგმანი შესრულებული უნდა იყოს სათანადო პროფესიული ტერმინოლოგიის (მაგალითად იურისპრუდენცია, შესყიდვები, ეკონომიკა/ფინანსები), შესაბამისი ენობრივი სტანდარტების და ნორმების დაცვით - შინაარსობრივად, სტილისტურად და გრამატიკულად გამართული სახით. მიმწოდებელი სრულად არის პასუხისმგებელი ნათარგმნი მასალის სისწორეზე;

შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს მომსახურების სრულფასოვნად გაწევის ღირებულებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

N	დოკუმენტაციის თარგმნის მომსახურების აღწერა	განზ.	ერთ გვერდზე სიმბოლოების სავარაუდო რაოდენობა	ერთი გვერდის თარგმნის მომსახურება
1	ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე	გვერდი	1800	
2	ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე	გვერდი	1800	
3	ქართული ენიდან რუსულ ენაზე	გვერდი	1800	
4	რუსული ენიდან ქართულ ენაზე	გვერდი	1800	
5	ქართული ენიდან უკრაინულ ენაზე	გვერდი	1800	
6	უკაინული ენიდან ქართულ ენაზე	გვერდი	1800	
7	ქართული ენიდან სომხურ ენაზე	გვერდი	1800	
8	სომხური ენიდან ქართულ ენაზე	გვერდი	1800	
9	ქართული ენიდან აზერბაიჯანულ ენაზე	გვერდი	1800	
10	აზერბაიჯანული ენიდან ქართულ ენაზე	გვერდი	1800	